ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2017 წლის 3 იანვარი ქ. ლაგოდეხი

ბრძანება

№2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის გამოყოფისა და განაწილების შესახებ

სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის № 40 დადგენილების ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში დადგინდეს საწვავის ყოველთვიური ხარჯი 1150 (ათასასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით, მათ შორის

ა) საკრებულოს თავმჯდომარისათვის–600 (ექვსასი) ლიტრი.

ბ) თავმჯდომარის მოადგილისათვის –200 (ორასი) ლიტრი.

გ) იურიდიული კომისია-50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინი (პრემიუმი);

დ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინი (პრემიუმი);

ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინი (პრემიუმი);

ვ) ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია-50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინი (პრემიუმი);

ზ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრურისა და ბუნებრივი რესურსების კომისია-50 (ორმოცდაათი) ლიტრი ბენზინი (პრემიუმი);

თ) აპარატისათვის–100(ასი) ლიტრი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური მომსახურების საკითხების უფროსს სპეციალისტს რატი ლომიძეს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი. სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე გოდერძი ბარბაქაძე